საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ჟუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

ხელოვნება, კულტურა, იდენტობები

პროგრამის ხელმძღვანელი:

ლიანა ანთელავა
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს სხდომაზე
2012 წლის 18 ივნისი ოქმი № 4

ხელოვნება, კულტურა, იდენტობები - სამაგისტრო პროგრამის ზოგადი დახასიათება:
დღეს უკვე დადგა საკითხი ქართული კულტურა შესწავლილ იქნას როგორც საკუთარი საზრისის, საკუთარი ცენტრის მქონე ფენომენი (კულტურის ლოკალურ თეორიებზე დაყრდნობით). ამდენად, სამაგისტრო პროგრამა გულისხმობს ქართული კულტურის ინტეგრირებულ კვლევას. ამისათვის, პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იქნება კვლევის შესაბამისი მეთოდილოგიური ფორმები.
პოსტმოდერნიზმის ეპოქაში, დასავლეთში კულტურის კვლევების ფარგლებში შემუშავდა არადასავლურ კულტურათა შესწავლის გარკვეული ფორმები, კვლევის მეთოდები. ტრადიციული დისციპლინები კი ძირითადად ეყრდნობიან კლასიკურ კანონებს, რაც ასევე წარმოადგენს ტრადიციული დასავლური კულტურის კვლევის ფორმას. ეს პროგრამა კი შექმნის ქართული კულტურის შესწავლისათვის არა მონოდისციპლინური კვლევის კლასიკურ მეთოდოლოგიურ ბაზაზე დამყარებულ პრაქტიკას, არამედ კულტურის მეცნიერებების ჰოლისტურ გაგებაზე დაფუძნებულ ინტერდისციპლინური მეთოდებით განხორციელებულ კვლევებს.
წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა გულისხმობს ამ ტიპის კვლევებისა და კლისიკური მეთოდოლოგიის გამოყენების ორგანული შეერთებით განახორციელოს ქართული კულტურის კვლევა. კონკრეტული ნაწარმოები, სტილი, მიმართულება, მხატვრის შემოქმედება თუ ნებისმიერი მხატვრული მოვლენა გაიაზროს ზოგადკულტუროლოგიურ ჭრილში, განიხილოს იგი დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა ფართო კონტექსტში. ამ მეთოდოლოგიის გამოენებით კულტურის ფენომენთა გააზრება და შესწავლა არაერთი დისციპლინის ფარგლებში აფართოებს ქართული კულტურის მეცნიერული შესწავლის შესაძლებლობებს.

ფართო სფერო (მიმართულება): სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია
Social Sciences, Journalism and Information

ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა): 031 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები
Social and Behavioural Sciences

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია): 0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები
Sociology and Cultural Studies 0314.1.4 კულტურის კვლევები, Cultural Studies

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კულტურის კვლევების მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
სამაგისტრო პროგრამის მოცულობა: 120 ECTS
სწავლის ხანგრძლივობა: – 2 კადემიური წელი, 4 სემესტრი.

სამაგრისტრო პროგრამის მიზნები:

1. ქართული კულტურის სპეციფიკური თავისებურებების, მისი იდენტობების კვლევა/ შესწავლა.
2. სამეცნიერო კვლევის მეთოდების ადაპტაცია ქართული კულტურის განსაკუთრებულობის მეცნიერული დასაბუთებისათვის, მისი იდენტობების გამოვლენისათვის.
3. ქართული კულტურის კვლევა/გააზრება არა მხოლოდ ერთი დისციპლინის ფარგლებში.
4. შეასწავლოს კულტურის კვლევების მეთოდები და მათი სამეცნიერო კვლევებში პრაქტიკული გამოყენება.
5. ასწავლოს სტუდენტს ჰუმანიტარული მეცნიერებების (სახელდობრ, სახელოვნებათმცოდნეო) კლასიკური კვლევის მეთოდების სინთეზირება კულტურის კვლევიბის მეთოდებთან.
6. მოამზადოს სტუდენტები, რათა მათ შეძლონ ინტერდისციპლინური, ზოგადკულტუროლოგიური კვლევების პრაქტიკული განხორციელება. ასწავლოს ახალგაზრდა მკვლევარებს კვლევის ჰოლისტური მეთოდის გამოყენება.

სწავლის შედეგები:

ცოდნა გაცნობიერება

1. სტუდენტს აქვს ქართული კულტურის ღრმა ცოდნა; იცნობს ქართულ ესთეტიკურ აზრს, ხელოვნებას;
2. სტუდენტს აქვს სახელოვნებათმცოდნეო კვლევის მეთოდების და ასევე კულტურის კვლევების თანამედროვე მეთოდების ღრმა ცოდნა.
3. სტუდენტი ფლობს ცოდნას თანამედროვე კულტურის თეორიების შესახებ.
4. სტუდენტის აქვს ცოდნა თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნების შესახებ, რაც აუცილებელია ზოგადად მსოფლიო კულტურულ სივრცეში მიმდინარე პროცესების ადექვატური გააზრებისათვის.

უნარი

5. ფლობს რა სტუდენტი სახელოვნებათმცოდნეო კვლევის მეთოდებს, მას შეუძლია კულტურის მოცემული ძეგლის კრიტიკული ანალიზის შედეგად ეპოქის, სტილის, მიმდინარეობის, ავტორის დადგენა.
6. სტუდენტს შეუძლია ნებისმიერი კულტურული მოვლენის სიღრმისეული კვლევა კულტურის კვლევების მეთოდების გამოყენებით.
7. მას შეუძლია სახელოვნებათმცოდნეო და კულტუროლოგიური კვლევის მეთოდების სისტემების სინთეზირება და მათი კვლევის პროცესში გამოყენება.
8. სტუდენტს შეუძლია ქართული კულტურის გააზრებისას დაეყრდნოს ისეთ მეთოდოლოგიას, რომელიც გულისხმობს კულტურის როგორც პირობით ნიშანთა სისტემის, კულტურის როგორც ტექსტის, როგორც ინფორმაციის, კულურის როგორც

მედიის, როგორც სოციალური სისტემის, კულტურის როგორც ქმედების გააზრების უნარს.
9. სტუდენტს აქვს ხელოვნების ნაწარმოების ზოგადკულტურულ ჭრილში განხილვის, დასკვნის გაკეთების უნარი; შეუძლია XX საუკუნის ქართულ ხელოვნებაში ქართული კულტურული იდენტობების გამოვლენა მისი სხვა კულტურის პროდუქტთან შეპირისპირებისას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
8. სტუდენტი აცნობიერებს პასუხისმგებლობას ქართული კულტურის/ხელოვნების კულტუროლოგიურ ჭრილში გააზრების, შესწავლის მნიშვნელობის შესახებ
9. სტუდენტს შეუძლია პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლად დაგეგმვა, კვლევითი სამუშაოს დაგეგვა და განხორციელება პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვითა და პასუხისმგებლობით წარმართვა, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი კულტურული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პირობები:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი
- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- გამოცდა უცხო ენაში (თსსა);
- გამოცდა სპეციალობაში (რეფერატი, პრეზენტაცია)

საგანმანათებლო პროგრამის ხანგრძლივობა:
2 კადემიური წელი, 4 სემესტრი.
აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისაგან. სემესტრის ხანგრძლივობა არის 21 კვირა, მათ შორის: სალექციო – 15, სასესიო – 3 და პრაქტიკის – 2, დამატებითი გამოცდისთვის – 1 კვირა. (თსაა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. მუხლი 15, პუნქტი 15.3)

პროგრამის სტრუქტურა

№	მოდულის დასახელება	I	II	III	IV	ECTS
1	საფაკულტეტო საგნები	10	5	5		20
2	სპეციალობის საგნები	15	15	10		40
3	პრაქტიკა			5		5
3	არჩევითი საგნები	5	10	10		25

4	სამაგისტრო ნაშრომი				30	30
	სულ ECTS	30	30	30	30	120